საქართველოს მთავრობის

დადგენილება №29

2026 წლის 23 იანვარი

ქ. თბილისი

„გზისპირა ზონაში საგზაო ინსპექტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 22 იანვრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „გზისპირა ზონაში საგზაო ინსპექტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 22 იანვრის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/01/2025, 310150000.10.003.024908) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „გზისპირა ზონაში საგზაო ინსპექტირების წესის“:

1. მე-14 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტს „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ – „ვ“ ქვეპუნქტები:

„გ) ECMT-ს ციფრულ სისტემაში:

გ.ა) ECMT სანებართვო დოკუმენტის საინფორმაციო დოკუმენტს;

გ.ბ) სააღრიცხვო წიგნში ან რეისის საინფორმაციო დოკუმენტში დაფიქსირებულ მონაცემებს;

დ) ECMT სერტიფიკატების შევსების სისწორესა და ურთიერთშესაბამისობას ECMT სანებართვო დოკუმენტის საინფორმაციო დოკუმენტთან;

ე) სატვირთო ავტომობილისა და მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატს;

ვ) ECMT-ს ციფრულ სისტემაში მოძიებულ ECMT სანებართვო დოკუმენტს და, სურვილის შემთხვევაში, ავსებს ინფორმაციას და აკეთებს შესაბამის აღნიშვნას. გამოვლენილი დარღვევის შემთხვევაში, აწესებს სანქციებს, ECMT-ს ციფრული სისტემის (DS) საკუთარი ანგარიშიდან ახდენს კონტროლის შედეგის ასახვას.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სანებართვო დოკუმენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუ გადამზიდველმა/მძღოლმა ვერ წარადგინა ამ წესის დანართ №5-ის მე-18, 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებული სათანადო დოკუმენტაცია, სამინისტროს შესაბამისი დანაყოფი, სააგენტოს უფლებამოსილი პირის შეტყობინების შემდეგ, უფლებამოსილია, მძღოლს შეუზღუდოს ამ სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენამდე.“.

2. დანართ №2-ის მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17	მძღოლის ბარათის არქონა და/ან წარმოუდგენლობა; მძღოლი ფლობს და/ან იყენებს ერთზე მეტ მძღოლის ბარათს.“.			X

3. დანართ №5-ის:

ა) მე-18 და მე-19 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18.	საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის განხორციელება სანებართვო დოკუმენტის გარეშე (სტატუსი: არ გააჩნია, ჩამორთმეული, ვადაგასული, გადაცემულია სხვა პირზე), ECMT სანებართვო დოკუმენტის შემთხვევაში, წარმოდგენილი სავალდებულო დოკუმენტების (ციფრული ან დაბეჭდილი ფორმით მხოლოდ თეთრ ქაღალდზე) საფუძველზე, შეუძლებელია ინსპექტირების განხორციელება.			X
19.	საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის სანებართვო დოკუმენტი დაზიანებულია (არ იკითხება მონაცემები, ECMT სანებართვო დოკუმენტის შემთხვევაში – დაბეჭდილი ფორმით წარმოდგენილ საინფორმაციო დოკუმენტში).“;	X		

ბ) 23-ე და 24-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„23.	ECMT მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტით სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელებისას, გადამზიდველმა/მძღოლმა ვერ წარმოადგინა შესაბამი სააღრიცხვო წიგნი ელექტრონული ფორმით ან რეისის საინფორმაციო დოკუმენტი ციფრული ან დაბეჭდილი ფორმით, მხოლოდ თეთრ ქაღალდზე, ან წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება ECMT სანებართვო დოკუმენტს.		X	
24.	ECMT მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტით სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელებისას, გადამზიდველის/მძღოლის მიერ წარმოდგენილ სააღრიცხვო წიგნში (ელექტრონული ფორმით ან რეისის საინფორმაციო დოკუმენტი ციფრული ან დაბეჭდილი ფორმით, მხოლოდ თეთრ ქაღალდზე) არ იკითხება შესაბამისი მონაცემები.“;	X		

გ) 26-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„26.	ECMT მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტით სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელებისას გადამზიდველმა/მძღოლმა დაარღვია ტერიტორიული შეზღუდვა (A,GR, H, I, RUS).“;		X	

დ) 29-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„29.	ECMT მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტით სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელებისას, გადამზიდველმა/მძღოლმა წარმოადგინა ლამინირებული ECMT სერტიფიკატები.“.		X	

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**